ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 88/1

14 ივლისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე,ვახტანგ შაქარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- თამარ მელიქიშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური- გიგა გიგაშვილი

ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური-ირინა ჭეიშვილი

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების განვითარების სააგენტო- ვიკა წილოსანი

განვითარების ფონდი- სანდრო ტოგონიძე

ისნის რაიონის გამგეობა- კახა ლაბუჩიძე

გლდანის რაიონის გამგეობა- ბექა მიქაუტაძე

ნაძალადევის რაიონის გამგეობა- ნიკოლოზ კანდელაკი

საბურთალოს რაიონის გამგეობა-გაიოზ ვასაძე

ვაკის რაიონის გამგეობა- ნოდარ ტურძელაძე

სამგორის რაიონის გამგეობა- კახა სამხარაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აცნობა რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.
#12-0320192123-03

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი **(№11-0120192668)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. **(№15-032019227-03)**

3. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". **#12-03201184-03**

4. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". **#12-03201952-03**

5. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". **#12-03201952-03**

6. "ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ". **#12-032018170-03**

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მან აღნიშნა, რომ ახალი კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თბილისის მთავრობამ მარტის დასაწყისიდანვე დაიწყო აქტიური მუშაობა ერთის მხრივ ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგექტებისა და ღონისძიებების დაზუსტებაზე და მეორეს მხრივ ფინანსთა სამინისტროსთან, წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების განსაზღვრაზე.

ფინანსთა სამინისტროდან 15 ივნისს მიღებული წერილის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელია დანაკლისი. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი თბილისისთვის შემცირდა 95 570,5 ათასი ლარით (მათ შორის: ქონების გადასახადი - 25 000,0 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 70 570,5 ათასი ლარი). ასევე, მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწნებული სპეციალური ტრანსფერი 35 000,0 ათასი ლარით.

2020 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და შემოსულობების სხვა წყაროების პროგნოზების გათვალისწინებით, მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 17 500,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 2 000,0 ათასი ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1 462,0 ათასი ლარით, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 8 000,0 ათასი ლარით. ამასთან, იზრდება გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან (ქონების მართვის სააგენტოს სახსრები) - 3 000,0 ათასი ლარით, პროცენტები - 9 000,0 ათასი ლარით, შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 8 000,0 ათასი ლარით.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში ასახულია 2020 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენება 2 200,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა მცირდება სულ 137 332,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 101 648,1 ათას ლარს.

გარდა ამისა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. მოძიებული რესურსებისა და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება - 2 449,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 300,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 196,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 618,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 600,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 1 060,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 2 000,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 12 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 240,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 420,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 130,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

(კოდი 02 09 16) – 969,9 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 560,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 110,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 300,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 260,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 200,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) – 112,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 150,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 320,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 320,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 300,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 130,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 60,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 240,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 240,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 320,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 80,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 345,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 618,6 ათასი ლარი.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 9 942,1 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის (კოდი 01 01 14) – 189,9 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 36 317,5 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 17 425,1 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 400,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნება – 1 226,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 1 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 1 232,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 300,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 196,0 ათასი ლარი,

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 26 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 1 839,9 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 8 000,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (04 01) – 482,1 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (04 03) – 240,0 ათასი ლარი, თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 62,0 ათასი ლარი, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები (კოდი 04 07 05) ქვეპროგრამის ასიგნება – 974,2 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება – 134,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 370,0 ათასი ლარი, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12) – 2 123,4 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 400,0 ათასი ლარით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 116,8 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 18 250,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 160,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 60,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 495,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 12 063,2 ათასი ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 122,0 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 2 388,7 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 45,0 ათასი ლარი, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება – 70,0 ათასი ლარი, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 140,0 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) – 285,0 ათასი ლარი, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) – 936,0 ათასი ლარი, თეატრი "გლობუსი" (კოდი 08 01 05) – 2,5 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 717,2 ათასი ლარი, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 21,6 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 1 696,8 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება - 1 650,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 250,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 543,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 3 042,0 ათასი ლარი, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06 06) – 502,7 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 3 238,0 ათასი ლარი, თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08 08 02) – 96,8 ათასი ლარი, კულტურული,

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 30,0 ათასი ლარი, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 30,0 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 13) პროგრამის ასიგნება – 237,5 ათასი ლარი, ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 100,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის (კოდი 09 01) – 673,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 2 245,1 ათასი ლარით, საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) – 102,6 ათასი ლარი, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 130,8 ათასი ლარი, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 50,8 ათასი ლარი, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 469,7 ათასი ლარი, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის (კოდი 10 08) – 12,5 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 122,4 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 110,4 ათასი ლარი, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 207,7 ათასი ლარი, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 311,1 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური (კოდი 10 19) – 1 190,4 ათასი ლარი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური (კოდი 10 20) – 305,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) – 115,0 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 145,1 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 119,3 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 98,3 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 59,3 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 125,8 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 106,3 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 8,2 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 115,2 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 899,1 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 104,2 ათასი ლარი, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 63,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 1 700,0 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 89,9 ათასი ლარი,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 145,7 ათასი ლარი, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 45) – 31,4 ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, დაემატა შემდეგი ახალი პროგრამა/ქვეპროგრამა: მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 01 02 03) – 2 000,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 20 04) – 5,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზა (კოდი 10 47) – 1 025,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) – 675,0 ათასი ლარი.

ასევე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შერწყმასთან დაკავშირებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულება), დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის სახელწოდება და მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ, გაიზარდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 54 ერთეულით და განისაზღვრა 135 ერთეულით, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 56 ერთეულით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის შემცირების გათვალისწინებით, წარმოდგენილ პროექტში დაზუსტებულია სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები შემდეგ პროგრამასა და ქვეპროგრამაში: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02), ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10), დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02). ასევე, ასახულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის (კოდი 10 19) პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებები.

ბიუჯეტის ცვლილების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ეხებოდა ყველა ძირითად ცვლილებას, რაზედაც დაწვრილებით განმარტეს რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების წარმომადგენ;ებმა.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების მიერ რეკომენდაცია მიეცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის #51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სდომაზე გატანას.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-0120192668) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

(№15-032019227-03)

საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, „ბიზნესის სტიმულირების“ პროგრამაში „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ემატება 12083 ლარი. აღნიშნული ესაჭიროებათ მერიასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებების“ ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის, კერძოდ ბიზნეს აქსელერატორებისათვის ნოუთბუქების შესაძენად.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს :„ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი.

ორ მოქალაქეს,ლალი ღარიბაშვილს (პ/ნ24001026012) და ოლღა ადუაშვილს (პ/ნ59001011972) რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე საცხოვრებელ ფართში, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ შესაბამისად 121 კვმ და 53,33 კვმ . წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურების შსს გასაუბრების ოქმები და შესაბამისი გამგეობის შუამდგომლობის წერილი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი.

სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში, მე-2 სართულზე, ბინა N3-ში მდებარე 71.16 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სოფიო მელიქიშვილს (პ/ნ: 01017030969) .

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი.

სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში, მე-2 სართულზე, ბინა N4-ში მდებარე 58.40 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო ჯაფარიძეს (პ/ნ: 01006005956)

მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ"
მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2019 წლის 18 მარტიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.007.133) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 8692 კვ.მ) მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს კომპანია, რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარადგინა ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად გადასაცემი ყველაზე მაღალი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 7500 კვ.მ-ის ოდენობით. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში კომპანიის მიერ ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (7500 კვ.მ), მიწის ნაკვეთების ფართობების პროპორციულად, გადანაწილდა შემდეგნაირად: N01.10.08.006.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (6194 კვ. მ) გადასაცემი ფართი განისაზღვრა - 5344. 5 კვ. მ-ის ოდენობით, ხოლო N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (2498 კვ.მ) - 2155.5 კვ.მ-ის ოდენობით.

ამავე დროს საბურთალოს რაიონის გამგეობის 2020 წლის 23 ივნისის წერილით დგინდება, N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობაში, 4 ოჯახის (პირის) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრების ფაქტი. ამავე წერილში მითითებულია, რომ აღნიშნული პირების განცხადებით, ისინი მისამართზე ცხოვრობენ 2006 წლიდან და ფლობენ ფართებს. ფაქტობრივი მოსარგებლეების მიერ მითითებული ფართების აზომვითი სამუშაოები განხორციელდა სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლის მიერ. ფაქტობრივი მოსარგებლეები

ითხოვენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემას. იმის გათვალისწინებით, რომ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, როგორც აღინიშნა, გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ამ მიწის ნაკვეთზე ფაქტობრივი მოსარგებლეების არსებობა დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ინეტერსთა გამოხატვით დაგეგმილი პროექტის განხორციელებისათვის. ფაქტობრივი მოსარგებლეებისთვის მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების გადაცემის სამართლებრივი საფუძველი და შესაძლებლობა სააგენტოს არ გააჩნია, რადგან, უპირველესად, მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებლი პროექტის არსსა და მიზანს. ვინაიდან, აღნიშნული პროექტის შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელება კოოპერატივების წევრების დაკმაყოფილების მიზნიდან გამომდინარე, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილი პროექტით მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების გამოთავისუფლების სანაცვლოდ.

ფაქტობრივი მოსარგებლეების მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა სანოტარო აქტები, რომლითაც ისინი თანხმობას აცხადებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების (ქ. თბილისში, დიდი დიღმის IV მ/რ-ში, მე-15 კორპუსის მიმდებარედ, N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიან შენობაში არსებული ფართების: გათავისუფლების სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით და ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონება გამოათავისუფლონ, კომპანიის მიერ მათი საცხოვრებელი ფართით ნებისმიერი ფორმით დაკმაყოფილებისთანავე;

განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები განსაზღვრულია „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით.

კოოპერატივების წევრების სიის ფორმირება განხორციელდა მათთვის სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულების მიხედვით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დასაკმაყოფილებელ პირთა სიის შედგენა დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებთან, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება საკითხის დროში გაჭიანურებას, ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებული შესაბამისი პირების სია შედგენილია სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, როცა დასრულდა ინტერესთა გამოხატვა და აღნიშნულმა პირებმა სააგენტოში წარმოადგინეს ნოტარიული წესით დამოწმებული შესაბამისი თანხმობები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მხოლოდ იმ პირთა მონაცემები, რომელთაც ამ სიის შედგენის დროისათვის წარმოდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია – ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რაც მათი, როგორც დაზარალებული პირების, იდენტიფიცირების და დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა. ამასთან, სიის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა ამ პირთა მიერ მისაღები ფართების მოცულობაც. აღნიშნული გარემოებაც რიგითობის განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტია იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული

პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის გადაცემა.

საკითხის ირგვლივ შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ლენჭისყრაზე დააყენა საკითხი

მომხრე-6
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია